KEUNE
ACADEMY GEORGIA

შპს კეონი აკადემია

2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

(იანვარი-დეკემბერი)

ანგარიშში წარმოდგენილია 2023 წლის იანვარი-დეკემბრის პერიოდში მუშაობის შედეგები აკადემიის 2020-2026 წწ სტრატეგიულ მიზნებთან და 2023 წლის სამოქმედო გეგმასათან მიმართებით

თბილისი

2023

KEUNE ACADEMY GEORGIA

სარჩევი

1. ხედვა, მისია , ღირებულებები ---------- ----- 3

2. კეონი აკადემიის SWOT ანალიზი ----------4

3. 2020-2026 წწ სტრატეგიული მიზნები ----------5

4. სტრატეგიული მიზანი 1 ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება ----------6

5. სტრატეგიული მიზანი 2 ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა----------

6. სტრატეგიული მიზანი 3 კეონი აკადემიის ცნობადობის ამაღლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება----------7

7. სტრატეგიული მიზანი 4 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება---------- 10

8. სტრატეგიული მიზანი 5 პროფესიულ სტუდენტთა სერვისების განვითარება-----11

KEUNE
ACADEMY GEORGIA

შპს კეონი აკადემიის ხედვა, მისია , ღირებულებები

აკადემიის მისია თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების მომზადება.

აკადემიის ხედვა 2031 წლისთვის იყოს ადგილობრივ ბაზარზე წამყვანი, ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო დაწესებულება თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში, რომელიც ვითარდება ინოვაციური მიდგომებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის საფუძველზე. ასევე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება დაინტერესებული საზოგადოებისათვის სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზებით.

აკადემიის ღირებულებებია:

- პროფესიონალიზმი;
- ხარისხზე და განვითარებაზე ორიენტირებულობა;
- გუნდურობა;
- სოციალური პასუხისმგებლობა;

კეონი აკადემიის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
▪ ძლიერი საერთაშორისო პარტნიორი; ▪ თანამედროვე სტანდარტების სასწავლო გარემო; ▪ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და დანერგვა; ▪ პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გავლა თანამედროვედ აღჭურვილ სალონებში; ▪ კვალიფიციური პერსონალი; ▪ ეფექტური პიარ კამპანია; ▪ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი; ▪ კურსდამთავრებულების დასაქმებისა ხელშეწყობა;	▪ ქართულ ენაზე ,თმისა და სილმაზის მომსახურეობის მიმართულებით, პროფესიული სასწავლო ლიტერატურის არ არსებობა; ▪ პედაგოგთა მიერ უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების დაბალი დონე, ენობრივი ბარიერი; ▪ სწავლა-სწავლების გამოცდილების არ ქონა;

შესაძლებლობები	საფრთხეები
▪ საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში აქტიური ჩართულობა; ▪ მოკლევადიანიპროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელება; ▪ პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; ▪ ევროპაში აპრობირებული სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა ; ▪ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება;	▪ არასტაბილური ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა; ▪ სტუდენტების საშუალო განათლების დაბალი დონე; ▪ სახელმწიფო დაფინანსების წესი კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმართებაში;

შპს კეონი აკადემიის 2020-2026 წწ სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი 1 ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 2 ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიზანი 3 კეონი აკადემიის ცნობადობის ამაღლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 4 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 5 სტუდენტური სერვისების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 1 ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2023 წელს დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანები: საგანმანთლებლო პროგრამების განვითარება, სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების ხელშეწყობა.

1.საგანამანთლებლო პროგრამების განვითარება. აღნიშნული ამოცანა მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას და პროგრამების ანალიზს/გაუმჯობესებას.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება განორციელდა ივნისი-ივლისის თვეში. თმის მომსაურების და ფრჩხილის მომსაურების პროფესიული განათლების მასწავლებლებმა შეაფასეს აღნიშნული პორგრამები. შეფასების შედეგად გამოიკვეთა რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა თემატიკის გამრავალფეროვნებას და ასევე სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანას. აღნიშნული რეკომენდაციების ნაწილი მიწოდებული იქნა ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოსათვის, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო სტანდარტის გადახედვას.

მტკიცებულებები:

პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარები;

ხარისის უზრუნველყოფის მენეჯერის მოსენებითი ბარათი N 7039 17.07.2023

შესრულებულია

2. **სწავლა /სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა.** აღნიშნული ამოცანა 2023 წელს მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით მინიმუმ ერთი სემინარის ჩატარებას, პროფესიული განათლების მასწავლებლების შეხვედრებს გამოცდილების გაზიარების მიზნით და ვერიფიკაციის განხორციელება. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით ამა წლის მაისში პროფესიული განათლების მასწავლებლებს (ჯამში 4 მასწავლებელი) საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ საერთაშორისო ტრენერის ილჰამ მესტურის მასტერ კლასებს და აემაღლებინათ კვალიფიკაცია.

მტკიცებულებები:

ილჰამ მესტურის მასტერკლასზე დასწრების აღრიცხვის ფურცელი

www.keuneacademy.ge

შესრულებულია

იანვარი- ივნისის პერიოდში ჩატარდა საგაკვეთილო პროცესზე ორი დასწრება, ხოლო ნოემბერში ერთი დასწრება. ორივე პროგრამის ფარგლებში დარგობრივი მიმართულების მასწავლებლები დაესწრნენ ერთმანეთს ლექციაზე და ლექციის შემდეგ გაუზიარეს ერთმანეთს რეკომენდაციები. აღნიშნული აქტივობა პირველად განხორციელდა აკადემიაში და დადებითად იქნა შეფასებული პროფესიული განათლების მასწავლებლების მხრიდან.აღნიშნული აქტივობის ნაწილობრივ იქნა შესრულებული, ვინაიდან კეონი აკადემიაში 2023-2024 სასწავლო წელს პროფესიული სტუდენტები არ ჩარიცხულან, შესაბამისად ვერ მოხერხდა წლის განმავლობაში 4 ურთიერთდასწრების განხორციელება როგორც ეს სამოქმედო გეგმით იყო განსაზღვრული. გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული აქტივობა გადატანილ იქნას 2024 წლის სამოქმედო გეგმაში.

მტკიცებულებები:

სასწავლო პროცესის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N2453 17.03.2023

სასწავლო პროცესის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N13816 06.11.2023

ნაწილობრივაა შესრულებული

რაც შეეხება ვერიფიკაციას, ვერიფიკაციები განხორციელდა როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე მომზადების პროგრამების ფარგლებში. ორივე ვერიფიკაციის დროს გამოიკვეთა რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა მტკიცებულებების სრულყოფას.

მტკიცებულებები:

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 7127 19.07.2023

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 8117 11.08.2023

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 15019 24.11.2023

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 15153 27.11.2023

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 15291 30.11.2023

შესრულებულია

3. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების ხელშეწყობის მიზნით 2023 წლის სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო სამი პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება. აკადემიამ მიმდინარე წელს მოიპოვა 6 პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება.

მტკიცებულებები:

კეონი აკადემიის დირექტორის 2023 წლის 7 თებერვლის ბრძანება N 1-09

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 21 თებრევლის ბრძანება MES 4 23 0000204017

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 21 თებრევლის ბრძანება MES 5 23 0000204018

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 21 თებრევლის ბრძანება MES 8 23 0000204020

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 11 ივლისის ბრძანება MES 4 23 0000859453

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 11 ივლისის ბრძანება MES 2 23 0000859451

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 27 ივლისის ბრძანება MES 7 23 0000937233

შესრულებულია

სტრატეგიული მიზანი 2 ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2023 წელს დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანები: ფინანსური მდგრადობის უზურუნველყოფა, მატერიალური რესურსების განვითარება, საინფორმაციო რესურსების განვითარება, ორგანიზაციული კულტურის განვითარება.

1.**ფინასნური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით** აკადემიაში დაგეგმილია შემდეგი აქტივობები: პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა და პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება მინიმუმ 6 ჯგუფი. აღნიშნული აქტივობების შესრულების ვადა განისაზღვრა წლის ბოლომდე. პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით დაიგეგმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტი, 2023 წლის მიღებასთან/პროგრამებთან დაკავშირებით განთავსებულია ინფორმაცია აკადემიის ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში. თუმცა აღნიშნული აქტივობა ვერ შესრულდა, ვინაიდან ამ წლის მიღებაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების

რაოდენობა იყო მცირე, შესაბამისად ჩარიცხვის ყველა ეტაპზე მოხდა აპლიკანტთა გადინება და საბოლოოდ ჯგუფები ვერ შედგა.

არ შესრულდა.

პროფესიული მომზადების პროგრამების განხოციელების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობით და მათი დაფინანსებით განხორციელდა სამი ჯგუფის დაკომპლექტება. დაფინასნების ალტერნატიული წყაროების მოძიების მიზნით აკადემიაში დაიგეგმა ერთ დღიანი სემინარი ფრჩხილის მოწესრიგების მიმართულებით, თუმცა მსმენელთა საკმარისი რაოდენობის ვერ მიღების გამო აღნიშნული სემინარი არ ჩატარდა. აკადემიამ წარმატებით ითანამშრომლა ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოსთან და მოიპოვა უფლება განეხორციელებინა“ თმის შეჭრის“, „თმის ღებვის“ და „ ფრჩხილის მოვლა მოწესრიგების“ პროფესიული მომზადების პროგრამები ჯამში სამი ჯგუფი. ასევე 2023 წლის დეკემბერში აკადემიამ მიიღო დაფინანსება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსგან და გამოაცხადა სწავლება „ თმის ღებვის სპეცილსიტის“პროფესიული მომზადების პორგრამაზე. ჯამში მიმდინარე წელს აკადემიამ მიიღო 7 ჯგუფი.

მტკიცებულებები:

მომსახურების (პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსი) შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N050117. 20.03.2023 წ.

ა(აიპ) პროფესიული უნარების სააგენტოსა და შპს კეონი აკადემიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება N 132/მ 16.09.2023

მომსახურების (პროფესიული მომზადება-გადმზადების კურსი) შესყიდვის ხელშეკრულება 0501-36 11.12.2023

შესრულებულია

2.**მატერიალური რესურსების განვითარების** მიზნით 2023 წელს დაგეგმილი იყო წიგნადი ფონდის განვითარება და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში მატერიალურ ტექნიკური რესურსების მდგომარეობის მონიტორინგი. იანვარი-თებერვლის პერიოდში მოხდა წიგნადი ფონდის გაზრდა 15 სახელძღვანელოთი, რაც შეეხება, მატერიალურ ტექნიკური რესურსების მდგომარეობის მონიტორინგს ის განახორციელდა ამა წლის სექტემბერ-ოქტომბერში. განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ის

მატერიალური რესურსი რომლის შეძენაც საჭირო იყო მიმდინარე წელს. აღნიშნული რესურსი იქნა შეძენილი, ასევე დამატებით ფრჩხილის მოვლა მოწესრიგების პროფესიული მომზადების პროგრამაზე აპლიკანტთა გაზრდილი რაოდენობის გამო დამატებით იქნა შეძენილი საშრობი აპარატები, ლამფები და ფრჩხილის დამუშავებისთვის საჭირო რესურსი.

მტკიცებულება:

www.keuneacademy.ge,

ინვენტარიზაციის ჩატარებისა და მატერიალური რესურსების შეფასების მიზნით შექმნილი კომისიის მუშაობის ამსახველი ოქმი N 23 06.10.2023

შესყიდვის დოკუმენეტაცია

შესრულებულია

3.**საინფორმაციო რესურსების განვითარების** კუთხით აკადემიაში დაგეგმილი იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურის დოკუმენტის გადახედვა. აკადემიის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა აღნიშნული დოკუმენტის გადახედვა და 2022 წლის მარტში აკადემიაში განხორცელებული მონიტორინგის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული განმავითარებელი რეკომენდაციების გათვალისწინება.

მტკიცებულებები:

კეონი აკადემიის დირექტორის 2023 წლის 6 მარტის ბრძანება N 1-11

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურის წესის გადახედვისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგფის შეხვედრის ოქმი 2023 წლის 10 მარტი;

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურის წესის გადახედვისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგფის შეხვედრის ოქმი 2023 წლის 30 მარტი;

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურის წესის გადახედვისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგფის შეხვედრის ოქმი 2023 წლის 10 აპრილი ;

შესრულებულია

4.**ორგანიზაციული კულტურის განვითარების** კუთხით 2023 წელს დაგეგმილია წლის განმავლობაში ჩატარებულია საქველმოქმედო/სოციალური აქციის ჩატარება და მინიმუმ ორი პერსონალის თვითგანვითარების ინიციატივების წახალისება.

საქველმოქმედო აქცია ჩატარება დაგეგმილი იყო მაისი -ივლისის პერიდოში და დეკემბერში. აღნიშნული აქტივობა ვერ შესრულდა.

რაც შეეხება პროფესიული განათლების მასწავლებლების თვითგანვითარების ინიციატივების მხარდაჭერას, წლის განმავლობაში მხოლოდ ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებლმა მიმართა აკადემიას მხარდაჭრისათვის. კერძოდ, აღნიშნული პირი მონაწილოებას იღებდა სტილისტთა საერთაშორისო კონკურსში , სჭირდებოდა სდაკუთარი ნამუშევრის გაგზავნა კონკურსზე და ითხოვა მისთვის აკადემიაში არსებული C გარემოს დათმობა.

მტკიცებულებები:

პროფესიული განათლების მასწავლებლის განცხადება N 360 20.01.2023

www.eflow.ge

ვერ შესრულდა

სტრატეგიული მიზანი 3 კეონი აკადემიის ცნობადობის ამაღლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2023 წელს დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანები: კეონი აკადემიის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, პროფორიენტაციის სისტემის განვითარება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება.

1.**კეონი აკადემიის პოპულარიზაციის ხელშეწყობის** მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა ერთი სემინარი სილამაზის სალონებში საქართველოს მაშტაბით. სემინარი ჩატარდა თბილისში და მას დაესწრო 10 სილამაზის სალონის წარმომადგენელი. სემინარზე დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია კეონი აკადემიის შესახებ. დაგეგმილია ასევე ვიდეო რგოლის მომზადება და სიუჟეტის გაკეთება აკადემიის შესახებ რომელიც გაკეთდება უნარების სააგენტოს მხარდაჭერით.

მტკიცებულებები:www.keoneacademy.ge

შესრულდა

2. **პროფორიენტაციის განხორციელების მიზნით** ჩატარდა შეხვედრები თბილისის მაშტაბით 3 საჯარო სკოლაში. შეხვედრების ფარგლებში 9-12 კლასის მოსწავლეებს და სკოლის ადმინისტრაციას შესაძლებლობა ჰქონდა მიეღოთ ინფორმაცია კეონი აკადემიის მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ. ეს სკოლებია: N 144 საჯარო სკოლა; N 172 საჯარო სკოლა; N 168 საჯარო სკოლა; აღნიშნული შეხვედრების ეფექტურობა გაიზომება სექტემბერში, როდესაც დასრულდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგიისტრაციის პროცესი.

მტკიცებულებები:

www.keoneacademy.ge

შესრულდა

3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარების მიზნით 2023 წელს დაგეგმილი იყო აკადემიის ვებ გვერდის განვითარება ქართულ და ინგლისურ ენაზე. აღნიშნული ამოცანა პერმანენტულად ხორციელდებოდა და წლის ბოლოსთვის აკადემიის მოხერხდა აკადემიის ვებ გვერდის 70% ინგლისურ ენაზე გადათარგმნა.

მტკიცებულება:

www.keoneacademy.ge

შესრულდა

სტრატეგიული მიზანი 4 პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2023 წელს დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანები: პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა.

1.**პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის** განვითარების კუთხით დაგგემილია პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასება რომელიც განხორციელდა ამა წლის დეკემბერში აკადემიაში მოქმედი მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად. 2023 წლის სამოქმედო გეგმით გათვალსიწინებული იყო პერსონალის არანაკლებ 80% შეფასება, თუმცა რეალურად განხორციელდა მხოლოდ იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასება რომლებიც 2022-2023 სასწავლო წელს ასწავლიდნენ აკადემიაში. შესბამისად, გაიცა რეკომენდაცია რომ 2024 წლის სამოქმედო გეგმაში აღნიშნული აქტივობის გადატანის შემთხვევაში შემცირებული იქნას შეფასების პროცენტული მაჩვენებელი.

მტკიცებულება:

სასწავლო პროცესის მენეჯერის ეკატერინე წითლიძის მოხსენებითი ბარათი N 15819 14.12.2023

ვერ შესრულდა

2. **ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობის** მიზნით მასწავლებელთა საჭიროებიდან გამომდინარე აკადემიაში დაიგეგმა და ჩატარდა ტრეინინგი „ ზრდასრულთა განათლების პრინციპები“ ასევე ექვსმა მასწავლებელმა მიიღო

მონაწილოება უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ ტრეინინგში სწავლა - სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიულ სტუდენტთა მიღწევის შეფასება.მეწარმეობის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა გაიარეს შესაბამისი ტრეინინგები „სამოქალაქო განათლების თანამედროვე სწავლების მეთოდები“ და „ სამეწარმეო სწავლება“.

დარგის მასწავლებლებისათვის 2023 წელს განსაზღვრულია 5 დარგობრივი სემინარი/ტრეინინგი აქედან ჩატარებულია: მხოლოდ ერთი „ მომხმმარებელთან სწორი კომუნიკაცია და პროფესიონალური თავის მოვლის საშუალებების სწორდ შერჩევის პროცესი“ . და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით ამა წლის მაისში პროფესიული განათლების მასწავლებლებს (ჯამში 4 მასწავლებელი) საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ საერთაშორისო ტრენერის ილჰამ მესტურის მასტერ კლასებს. გაიცა რეკომენდაიცა აღნშნული აქტივობა გათვალისწინებულ იქნას 2024 წლის სამოქმედო გეგმაში.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ პერსონალს , თვითგანვითარების მიზნით ადმინისტრაციის ორმა წარმომადგენელმა მოიძია და დამოუკიდებლად გაიარა ტრეინინგები მათ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ვერ შესრულდა

მტკიცებულებები:

სემინარზე დასწრების აღრიცხვის შევსებული ფურცელი;

პროფესიული განთლების მასწავლებლების პირადი საქმეები;

სერთიფიკატები;

ხარისხის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 6010 19.06.2023

www.keuneacademy.ge

www.evet.emis.ge

სტრატეგიული მიზანი 5 პროფესიულ სტუდენტთა სერვისების განვითარება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2023 წელს დაგეგმილია შემდეგი ამოცანები: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებათა დაცვის მექანიზმების განვითარება, ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარება და პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის სერვისების განვითარება.

1. **პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებათა დაცვის მექანიზმების განვითარების** კუთხით 2023 წელს დაგეგმილია იყო ერთი საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება, რომელიც განხორციელდება მიმდინარე წლის ნოემბერ-

დეკემბერში ახალი ჯგუფის მიღებისას. საინფორმაციო შეხვედრა ჩატარებულ იქნა პროფესიული მომზადების პროგრამებზე „თმის შეჭრა“ „თმის ღებვა“ და „ფრჩილის მოვლა მოწესრიგების“ ჩარიცხულ მსმენელებთან. საინფორმაციო შეხვედრებზე მსმენელებს მიეწოდათ ინფორმაცია აკადემიის მისია, ხედვა ღირებულებების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმნეტების , მსმენელეთა უფლება მოვალეობების შესახებ.

მტკიცებულება:

„თმის შეჭრის“ და „ფრჩხილის მოვლა მოწესრიგების“ პროფესიული მომზადების პროგრამებზე ჩარიცხულ მსმენელებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრის ოქმი N 26 16.09.2023

„თმის შეჭრის“ და „ფრჩხილის მოვლა მოწესრიგების“ პროფესიული მომზადების პროგრამებზე ჩარიცხულ მსმენელებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრის ოქმი N 28 23.09.2023

შესრულებულია

2.ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების მიზნით 2023 წელს დაგეგმილი იყო პროფესიული სტუდენტებისათვის /მსმენელებისათვის ორი ვებინარების/სემინარების ჩატარება. პროფესიულ სტუდენტებს/ მსმენელებს საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ Customer experience- creat hair starls with great care!“ და „ COLORS LIKE NO OTHERS“ სემინარებს.

მტკიცებულება:

www. Keuneacademy.ge

შესრულებულია

ასევე დაგეგმილი იყო სტუდენტური კონფერენციის ჩატარება რომელიც უნდა განხორციელებულიყო მიმდინარე წლის დეკემბერში 2023-2024 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მონაწილეობით. ვინაიდან, წელს აკადემიაში მოქმედი პროფესიული სტუდენტები არ არიან შესაბამისად, კონფერენცია ვეღარ ჩატარდა. გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული აქტივობა გადატანილ იქნას 2024 წლის სამოწმედო გეგმაში.

მტკიცებულებები:

ვერ შესრულდა

3. **პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის სერვისების განვითარების** კუთხით მიმდინარე წელს დაგეგმილი იყო პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების განვითარება.

პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმის განვითარების მიზნით აკადემიაში არსებულ დახურულ ფეისბუქ ჯგუფში იდება ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია პერმანენტულად.ჯამში მიმდინარე წელს დაიდო 17 ვაკანსია.

მტკიცებულება:

პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჯგუფი.

შესრულდა